ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230163163**
თარიღი: **16/01/2023**

ადრესატი: ნინო ფარცხალაძე
პირადი ნომერი: 01030005382
მისამართი: თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 5 ბ. 42

ქალბატონო ნინო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 16 იანვრის N0123016327-67 განცხადება, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ:

დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.17.07.014.019) ზედდებაშია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2022 წლის 20 ივლისის (№ 22.1131.1231) განკარგულებით მოწონებული ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნის პერსპექტიული საბაგირო დაცვის ბუფერთან, სადაც აკრძალულია ნებისმიერი კატეგორიის შენობა-ნაგებობის განთავსება. თუმცა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში 26.12.2022 წლის AR1941395 განცხადებით წარდგენილი პროექტის პარამეტრების გათვალისწინებით - სააგენტო არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების წინააღმდეგი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საბაგირო დერეფნის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით სავალდებულოა დაცული იყოს შემდეგი პირობები: საბაგირო დერეფნის განთავსებისა და მისი დაცვის არეალის გასწვრივ აკრძალულია გათბობის/გაგრილების და მსგავსი დანიშნულების გენერატორებისა და 10 მეტრზე მაღალი სიმაღლის შენობა-ნაგებობის განთავსება.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი